ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA000043996136817

№ 1463/ს

22 / დეკემბერი / 2017 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 ოქტომბრის N826/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 57-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი1. შევიდეს ცვლილება "სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მიწის ნაკვეთზე ამორტიზირებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟისათვის ნებართვის გაცემის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 ოქტომბრის N826/ს ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“**მუხლი2.** დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 01 აპრილამდე".
/საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ა/წლის 20 დეკემბრის №1433/03 დასკვნა/.
მუხლი 2. ბრძანების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელად.
მუხლი3.ბბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრულ ცვლილებაზე კონტროლი და შესაბამისი რეაგირების განხორციელება დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს გიორგი ჩალათაშვილს.
მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
მუხლი5.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

ჯონდო მდივნიშვილი